



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დადიშქელიანები



გელოვან-
დადიშქელიანების გერბი

დადიშქელიანები, დადიშქელიანები, ფეოდალური საგვარეულო სვანეთში.

იხსენიება XIII– XIV სს-იდან. XVIII ს-ში დ-მა საბოლოოდ დაძლიეს თავიანთი მეტოქე რიჩგვიანები, დაიმორჩილეს ზემო სვანეთის დასავლეთი ანუ ბალსქვემო ნაწილი და შექმნეს პატარა სამთავრო, რ-ის ფაქტობრივი ფუძემდებელი ბაბაციოცი (გ. 1812) იყო.

შინააშლილობის გამო დ-ის სამთავრო XIX ს. 20-იან წლებში ორად გაიყო. 1833 დ-მა რუს. ქვეშევრდომობა მიიღეს. მეფის მთავრობამ ციოცი (მიხეილი) ჩუბეხევის, ხოლო თათარყანი (ნიკოლოზი) ეცერცხუმარბეოს მფლობელად ცნო. რუს. მფარველობაში შესული და თვითონ მართავდნენ თავიანთ სამფლობელოს და მეფის მოხელეებს ნაკლებად ემორჩილებოდნენ.

1841 მეფის არმიაში მყოფი ციოცი ჩრდ. კავკ. მთიელებთან ბრძოლაში დაიღუპა. თათარყანმა ციოცის მემკვიდრეების – კონსტანტინეს, ალექსანდრეს, ისლამის, თენგიზისა და ციოცის – მეურვეობის უფლება მოითხოვა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. თათარყანის გარდაცვალების (1850) შემდეგ, 1855, ისლამ და თენგიზ დ-მა მოკლეს თათარყანის მემკვიდრე ჯანსუღი. 1857 მეფის მთავრობამ სამთავრო გააუქმა და ჩუბეხევის დ. სამუდამოდ რუს. შორეულ გუბერნიებში გადაასახლა, ეცერ-ცხუმარ-ბეოს მფლობელ დ-ს კი ძვ. უფლებები ჩამოართვეს და რიგით მემამულეებად გამოაცხადეს.

ლიტ.: გაბლიანი ე., ძველი და ახალი სვანეთი, ტფ., 1925; გასვიანი გ., სვანეთის საეკლესიო კრებათა მეორე მათიანე, «მაცნე». ისტ., არქეოლ., ეთნოგრ. და ხელოვნ. ისტორიის სერია, 1972, №2; მისივე, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1973.

გ. გასვიანი
